

ინფორმაცია
ბელგიაში (2010 წლის 25-26 ოქტომბერი)
გამართული კონფერენციის შესახებ

ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში გაიმართა IAS-ის რიგით მე-10 საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „შიდა აუდიტი, გარე აუდიტი“.

კონფერენციის ძირითადი მიზანი იყო აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკის გაცნობა და ინოვაციური მიმართულებების წარმოჩენა; აგრეთვე, იმის ჩვენება, როგორ წარიმართოს აუდიტი შიდა და გარე აუდიტორების მჭიდრო თანამშრომლობით, რათა ჩატარებული აუდიტი იყოს უფრო ეფექტიანი, მოითხოვდეს ნაკლებ რესურსს და ჩატარდეს რაც შეიძლება დროის მცირე მონაკვეთში.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა რამდენიმე ქვეყანა: ბელგია, კანადა, საფრანგეთი, შვედეთი, ნიდერლანდები, იტალია, დიდი ბრიტანეთი, უკრაინა, ლიტვა, საქართველო და შესაბამისად, შემდეგი ორგანიზაციები: „დელოიტი“ (ბელგია), უმაღლესი აუდიტორული ორგანო „ნოვა სკოტია“ (კანადა), ევროკომისია, შვედეთის უმაღლესი აუდიტორული ორგანო, CASS ბიზნეს სკოლა (დიდი ბრიტანეთი), ლიტვის ფინანსთა სამინისტრო, შიდა აუდიტორების ინსტიტუტი, საქართველოს კონტროლის პალატიდან კონფერენციას ესწრებოდა ნინო ქურიძე, სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის აუდიტორ - ზედამხედველი.

კონფერენციის მუშაობას ხელმძღვანელობდნენ ალგირდას სემეტა, ევროკომისიის წევრი და მოდერატორი - ბრაიან გრეი, ევროკომისიის შიდა აუდიტორი.

კონფერენციის პირველ დღეს განხილულ იქნა საკითხები:

- „შიდა აუდიტს პლუს გარე აუდიტი = აუდიტს?“ (კონცეფცია).
- შიდა და გარე აუდიტორებს შორის სამუშაოს კოორდინაცია და მასთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკა.

- შიდა აუდიტის ხარისხი.

კონფერენციის მეორე დღის საკითხები:

- აუდიტორის დამოუკიდებლობა.
- შიდა და გარე აუდიტორების პროფილი.
- ECIIA-სა და EUROSAI-ს ურთიერთთანამშრომლობა.
- აუდიტის ჩატარების აუცილებლობა.
- აუდიტის ობიექტის ურთიერთობა შიდა და გარე აუდიტის წარმომადგენლებთან.

- აუდიტის კომიტეტის შეხედულება შიდა და გარე აუდიტორების ურთიერთობაზე.

კონფერენცია წარიმართა პრეზენტაციებისა და დისკუსიების ფორმატით.

„შიდა აუდიტს პლუს გარე აუდიტი = აუდიტს?“ (კონცეფცია) რამდენად შესაძლებელია პრაქტიკაში. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით განხილულ იქნა საკითხები: როგორ შეიძლება აუდიტი უფრო ეფექტიანი გახდეს შიდა და გარე აუდიტორების ურთიერთთანამშრომლობით; კონცეფცია შესაძლებელია პრაქტიკულად განხორციელდეს, თუმცა, გასათვალისწინებელია ის ძირითადი განსხვავებები, რომლებიც დამახასიათებელია შიდა და გარე აუდიტისთვის. აღსანიშნავია, რომ შიდა აუდიტი ერთგვარად მიკერძოებულია, რადგან მას ატარებს ორგანიზაციაში შემავალი სტრუქტურული ერთეული, გარე აუდიტი კი დამოუკიდებელია და მისი საქმიანობის შედეგი ეფუძნება დამოუკიდებელ აუდიტორულ მოსაზრებას.

დღის წესრიგით წამოჭრილი საკითხები და მათი სპეციფიკა.

- შიდა და გარე აუდიტორებს შორის სამუშაოს კოორდინაცია და მასთან დაკავშირებული საუკეთესო პრაქტიკა. განხილულ იქნა, თუ როგორ შეიძლება, რომ გარე აუდიტორმა შეამციროს მის მიერ ჩასატარებელი აუდიტორული პროცედურები და დაეყრდნოს შიდა აუდიტის მიერ უკვე განხორციელებულ შემოწმებას.
- შიდა აუდიტის ხარისხი.
- აუდიტორის დამოუკიდებლობა.
- შიდა და გარე აუდიტორების პროფილი.
- ECIIA-სა და EUROSAI-ს ურთიერთთანამშრომლობის საკითხები.
- აუდიტის ჩატარების აუცილებლობა.
- აუდიტის ობიექტის ურთიერთობა შიდა და გარე აუდიტის წარმომადგენლებთან: უშუალოდ აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელმა განიხილა პრაქტიკული მაგალითი, თუ რა მიმართულებებით წარმოიშვა სიძნელეები შიდა და გარე აუდიტორების მიერ ერთობლივი მუშაობისას.
- აუდიტის კომიტეტის შეხედულება შიდა და გარე აუდიტორების ურთიერთობაზე.

კონფერენციის მუშაობისას გამოიკვეთა შიდა და გარე აუდიტორების ურთიერთთანამშრომლობასთან დაკავშირებული საქმიანობის როგორც საუკეთესო პრაქტიკა, ისე მასთან დაკავშირებული სიძნელეები, სისუსტეები, დაბრკოლებები და სამომავლოდ გასათვალისწინებელი საკითხები.

საქართველოს საჯარო სექტორში შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბებისა და დახვეწის პროცესი დაიწყო ახლო წარსულში. შიდა აუდიტის საქმიანობის შესწავლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია გარე აუდიტორისათვის და ასევე ის სანდო წყაროსაც უნდა წარმოადგენდეს. აღნიშნულ კონფერენციაზე განხილული სიძნელეები, რომლებიც ჩნდება

ქვეყნებში, სადაც ეს პრაქტიკა უკვე დანერგილია, მნიშვნელოვანია და უნდა გაითვალისწინონ იქ, სადაც ასეთი პრაქტიკა მხოლოდ ახლა იწერება.

ამრიგად, კონფერენციაზე მიღებული ინფორმაცია და სხვა ქვეყნების გამოცდილება მომავალში გასათვალისწინებელია და გარკვეული სახის კორექტირებით შესაძლებელია მოერგოს ქართულ რეალობას და აღნიშნული მიმართულებით ჩვენში მოსალოდნელ ცვლილებებს.